

ტიციანა პალენდრანი (იტალია)

პოლიფონია მონეორობი (კორდობა)

ვნების კვირაში, სოფელ მონტოროში (ესპანეთი), შესაძლებელია მეტად უცნაური პოლიფონიური სიმღერის მოსმენა. ეს არის ფენომენი, რომელიც სრულიად უჩვეულოა პირენეის ნახევარუნძულის პარალიტურგიული საადდომო წეს-ჩვეულებებისათვის, რომლების დროსაც ყველაზე ცნობილი ვოკალური გამომსახველობა საეტას მონოდიაა.

მონტორო, რომელიც 10000 მოსახლეს ითვლის, მდებარეობს მდინარე გვადალევი-ვირით შემოზღუდულ კონცხზე. ასეთმა ბუნებრივმა იზოლაციამ, შესაძლოა, გარკვეულნილად, განსაზღვრა ამ სოფლის ტრადიციების კონსერვაციულობა.

ამჟამად აქ პოლიფონიას ასრულებს „Piadoso y Antiquísimo Coro de Nuestro Padre Jesús Nazareno y María Santísima de los Dolores“ (ჩვენი მამა იესო ნაზარეველისა და ყველაზე წმინდა მწუხარე მარიამის ღვთისმოსავი და უძველესი გუნდი). ის მიეკუთვნება ერთსახელიან Cofradía-ს (საძმოს), რომელიც დაჟინებულ ენთუზიასტთა ჯგუფმა ხელახლა დაარსა 1982 წელს. სწორედ ამ ენთუზიასტებმა აღადგინეს XX საუკუნის არასახარბიელ მოვლენების გამო (სამოქალაქო ომი, გამოცდილი მომღერლების დაკარგვა, ემიგრაცია), თითქმის გაქრობის პირზე მდგარი ტრადიცია.

ის ფაქტი, რომ მოსახლეობა პოლიფონიურ პრაქტიკას ღრმად არქაულად აღიქვამს (ამაზე მეტყველებს გუნდის სახელწოდებაში ზედსართავის უძველესის გამოყენება), ხაზს უსვამს ვნების შვიდეულის რიტუალის (თანმხელები პოლიფონიური პრაქტიკით) განსხვავებულობას წლის სხვა დროის, თითქმის დავინებული ტრადიციული დღესასწაულებისგან.

გუნდი დაახლოებით 40 მომღერლისაგან შედგება, რომლებიც სამ რეგისტრში მღერიან (voz primera, voz segunda და bajo)¹. მათ რეპერტუარშია ზეპირი გადაცემის ტრადიციით შემონახული ლათინური ნიმუშები, რომელიც მხოლოდ ბზობის წინა პარასკევს, დიდ ხუთშაბათს და წითელ პარასკევს სრულდება. (რეპეტიციებს მარხვაში ატარებენ და რეპერტუარში არ აქვთ საერო ნიმუშები).

2018 და 2019 წლებში, ჩემ მიერ ჩატარებული საველე ექსპედიციების დროს გამოკითხული ინფორმატორების ცნობით, სამოქალაქო ომამდე ესპანეთში 4 გუნდი არსებობდა, რომელნიც მხოლოდ საკუთარ რეპერტუარზე იყვნენ სპეციალიზებული. მათგან, მივაკვლიერ მოსახლეობის მიერ შემონახულ მხოლოდ შემდეგ ნანარმოებებს: „Benedictus“, „Miserere“ და „Stabat Mater“.

რეპერტუარი სრულდება, როგორც მიძღვნა „Padre Jesús“²-ისა (სიყვარულით ასე უწოდებენ ხალხში იესოს ქანდაკებას) და „Virgen de los Dolores“-ს („მწუხარე ქალწული“), ასევე, გუნდის გარდაცვლილი წევრების მიმართ ან საძმოს ახლი წევრის ტუნიკით შემოსვის საზემო ცერემონიის დროს.

მომღერლების ტანსაცმელიც კი მათი იდენტობისა და ერთგულების გამომხატველი ელემენტია. ის მამიდან შვილს გადაეცემა და შედგება მენამული ტუნიკისაგან, რომლის გულზე გადაჯვარედინებული გრძელი თოკები ვნების სიბოლოა, ხოლო მათ დამჭერ „pecherín“-ზე „Padre Jesús“-ის გამოსახულებაა ამოქარგული. ზოგი მომღერალი ითხოვს,

¹ პირველი ხმა, მეორე ხმა და ბანი.

² მამა იესო.

რომ ტუნიკით დაკრძალონ, ზოგი კი ამჯობინებს, თავისი სამოსელი შეილებს და შეილი-შეილებს დაუტოვოს, მით უფრო, რომ, დიდი ალბათობით, მათი შთამომავლებიც გუნდის კანტორები გახდებიან.

ძმები კორანტების (“hermanos corantes”) სახელით ცნობილ მომღერლებს ზედმეტსახელი *abejorros* (დიდი ფუტკარი, ბაზი) შეარქვეს. ამის მიზეზი იყო მათ მიერ ლათინურად შესრულებული სიმღერების მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება; ლათინურად, რომელიც, გამოკითხული ინფორმატორების აზრით, ძნელად ასასაქმელ და გამოსათქმელებად მიიჩნევა (მოვლენა, რომელიც სხვა ზეპირ ტრადიციებშიც იჩენს თავს). თუმცა, ჩემი აზრით, ეს განსაზღვრება შეიძლება გამოწვეული იყოს ერთგვარი ფონეტიკური ტემპრის აღქმისა თავისებურებითაც, რომელიც პროდუცირებულია აკორდებით მღერის განსაკუთრებული ხერხით. ამ აკორდების დაბალი ბეგრები ზუზუნის ასოციაციას ბადებენ. ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგისტრი სამია, გადარჩენილი მომღერალი კი — 4, დუბლირებული ხმა ბანია, ანუ ყველაზე დაბალი ხმა.

გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყო ტემპრის მიზანმიმართული ძებისა და ხმის წარმოქმნის მათ მიერ შემუშავებული ტექნიკის შედეგი, თუ დავუშვებთ, რომ 4 მომღერალი, ოთხი ორიგინალური ვოკალური პარტიის მემკვიდრეა და არა სამის. თუმცა, ეს აზრი უღერს, როგორც მოგონების გამომწვევი ვარაუდი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ზუზუნის აღქმა და კოლექტიური საქმის შესრულებისაკენ სწრაფვის სურვილი გვაახლოვებს იერუსალიმელი სოფრონიუსის გამოცდილება-სთან, რომელიც აღმოსავლეთ საბერძნეთში პოლიფონიური სიმღერის მოწმე გახდა და მომღერლებს „ანგელოზებრივი ფუტკრები“ უწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებათა სიმწირე ესოდენ შორეული ეპოქების შესახებ მხოლოდ მარტივი ჰაპოთეზების ფორმულირების საშუალებას იძლევა, იმის აღნიშვნა ნამდვილად შეიძლება, რომ, დიდია შანსი, მონტოროს ბერძნული ფესვები ჰქონდეს (მით უფრო, რომ ის ყოველთვის ამაყობდა რომაული წარსულით, რამაც შვილობილი ქალაქის ტიტული მოუპოვა). გარდა ამისა, აյ წარმოებული თაფლის დახვენილი ხარისხი ხელს უწყობდა მის პოპულარობას მთელ რომის იმპერიაში. ყოველივე ეს კიდევ უფრო გვაახლოებს ფუტკრების კეთილშობილურ სამყაროსთან.

ვნების კვირაში ქალაქი, ფაქტობრივად, სულიერ სკად იქცევა, სადაც ყველა თავისებურად იღწვის საერთო განზრახვის წარმატებით განხორციელებისაკენ. ეს არის „ჩვენი მამა იესო ნაზარეველის“ (“Nuestro Padre Jesús Nazareno”) ქანდაკების თანხლება მეტად ხანგრძლივ პროცესიაში, რომელიც ვნების პარასკევს *San Juan de Letrán* (წმინდა იოანე ლატერანელის) ეკლესიიდან დღის 2 საათზე იწყება და 9 საათი გრძელდება (სურ. 1).

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, როგორ მოქმედებს რიტუალი დროის შენელებაზე (ზარების რეკვა გვაპრუნებს მზის დროში, გადავყავართ 2 საათით უკან); ასევე, სივრცეზე, რადგან ახდენს პროცესის სხვადასხვა ეტაპისა და მნიშვნელოვანი გარემობების, ერთდროულად, როგორც კოლექტიური მოგონებების ადგილებისა და როგორც ხმის გამაძლიერებელი გარემოს კოდიფიცირებას. ბრძოში ორიენტაციისათვის მომღერლები იყენებენ აპრას სახელწოდებით “Cuius” („ის, ვინც რომელი“), რომელზეც ამჟმად “Pietà”-ს (გარდამოხსნის) გრავიურაა გამოსახული, მაგრამ ძველ ფოტოსურათებში სიტყვა “CORO” (ცუნდი) ანერია.

რაც შეეხება განლაგებას, მონტოროს გუნდის წევრები სპონტანურად ეწყობიან წრეზე. ეს შესაძლოა, იმ დროიდან მოდის, როცა არ არსებობდა დირიქორი და ერთმანეთის ყურება აუცილებლობას წარმოადგენდა. თუმცა, ის ფაქტი, რომ მომღერლები ერთ-მანეთან მჭიდრო კონტაქტში არიან და ზოგჯერ პარტნიორის შხარზე ხელიც უდევთ, უფრო საერო რიტუალის შესრულებას მოგვაგონებს.

ვნების პარასკევის მსახურება იწყება ეკლესიაში, რომელშიც “Padre Jesús”-ის პერსო-

ნალური ესკორტის — “Compañía de romanos de Montoro” (მონტოროს რომაელთა კომპანიის) მობრძანებისთანავე “Stabat Mater” სრულდება. ექსკორტი შედგება რომაელი ჯარისკაცების მსგავსად ჩაცმული და ორგანიზებული, დაახლოებით 500 ადამიანისაგან. ისინი თანხლებას უწევენ ქრისტეს ქანდაკებას მთელი მოგზაურობის მანძილზე და წარმოადგენ ნახევრად-თეატრალურ დადგმას (სურ. 2, 3).

“Stabat Mater” რესპონსორულად სრულდება, სოლისტისა და გუნდის მიერ, ერთ-დროულად, საზემო და მგრძნობიარე ხასიათით, რაც განონასწორებულია ეკლესიაში შემოსული “cornetas y tambores”³ ორკესტრის ხმაურით. ამგვარი ხმოვანი ეფექტი ძლიერ ემოციებს იწვევს და “Padre Jesúს”-ის გრძელი ღამის დასახუცის მოასწავებს.

ამასთან, მონტოროს ვნების კვირის ვოკალური რეპერტუარი შეიცავს პიბრიდულ ფორმებს ლოგოგნერულ და მელოგნერულ სტრუქტურებს შორის, რომლებიც სავარაუდოდ, ფართო დრამატული ქმედების ფრაგმენტები, საკრალური წარმოდგენების ნაშთებია, რომელთა მთავარი სტრუქტურული წესები დაკარგულია. ესაა ფორმულები ესპანურ ენაზე, რომლებიც ანდალუზიურ პარალიტურგიბშიც გვხვდება: ნახევრადინტონირებულ რეჩიტატივებს, როგორებიცაა “Decreto de Dios Padre” (მამა ღმერთის განკარგულება) და “Confortación del Ángel” (ანგელოზის ნუგეში), ემატება “Sentencia de Pilatos”⁴ (პილატეს განაჩენი), რომელიც სრულდება ერთი ხმის მიერ სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა მომენტში. ეს უკანასკენელი, ულერს რა “Sentencia corta”⁵-ს ფორმით, მთავრდება C# -ით, რომელიც არბილებს სოლისტის ინტონაციას. “Et erexit” (მან აღზარდა) (სრულდება ნოტებით A-B-C# მარცვალზე “Et”) და უერთდება გუნდს მაჟორული სამხმოვანების (A-C#-E) გაუდერებისთანავე (აუდიომაგ. 1). იგი მომლერლების, დირიჟორებისა და საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც მონტოროს პირადი მემკვიდრეობა, მოგონებების, ტრადიციებისა და გრძნობების სიმბოლო.

ტექსტი მიეკუთვნება “Benedictus”-ის (ნეტარ არს) ან “Canticum Zachariae”-ს (ზაქარიას სიმღერა) მეორე კუპლეტს “Et erexit cornu salutis nobis / in domo David, pueri sui” („მან აღზარდა ჩვენთვის / თავისი მსახურის, დავითის სახლში“).

“Miserere”-ც ამავე ჯგუფის სიმღერებს ეკუთვნის. მონტოროში ის მხოლოდ ორ შემთხვევაში სრულდება და რიტმული და მელოდიური გამომსახველობით მკვეთრად განირჩევა სხვა ნიმუშებისგან, რომლებიც რეპერტუარის ძირითად ხასიათს განაპირობებენ და რომლებშიც შერწყმულია განსხვავებული ეპოქებისა და საზოგადოებრივი ფენების სტილური ელემენტები (სურ. 4).

შეიძლება ითქვას, რომ ეს ვოკალური ტრადიცია განისაზღვრება, როგორც პოლი-ფონია, დაფუძნებული სამ დაბალ ხმაზე “falsobordone”-ს სტილში, რომელიც უმთავრესად ტონიკურ, დომინანტურ და სუბდომინანტურ ულერადობებს წარმოქმნის და ემი-სიური ასპექტებით გრიგორისეულ ქორალს მოგვაგონებს, განსაკუთრებით, სილაბური ტენდენციის უპირატესობით და, ზოგჯერ, უფრო კილოურ, ვიდრე — ტონალურ ბერა-თრიგთან სიახლოებით.

კვლევამ გვიჩვენა სიახლოევე ვნების კვირის მრავალხმიან სიმღერებთან სარდინიაში. მართალია, ეს მსგავსება რესპონდენტებმა არ დააკონკრეტეტეს, მაგრამ განთქმული ადგილობრივი დრამატურგი მიგელ რომეო ესტერ, თავის ნაშრომებში ეყრდნობა პოლიფონური გლეხური სიმღერების საერთოებროპულ სუბსტრატს⁶ და მონტოროს მრავალხ-

³ „საყვირები და დოლები“.

⁴ “Sentencias” მონტოროში სრულდება კოლექტიურად, განსხვავებით სხვა ფორმულუბებისგან, რომლებიც ინდივიდუალურად იკითხება.

⁵ მოკლე წინადადება.

⁶ ისევე, როგორც მიგელ მანზანო ალონსო იქცევა კორსიკასთან მიმართებაში.

მიანობას სარდინის პოლიფონიასთან აკავშირებს.,

უნდა ვალიაროთ, რომ მონტოროს პოლიფონიური ტრადიციაც კი ტერციის, კვინტი-სა და ოქტავის ინტერვალებშია მოქცეული და ხშირად ორმაგი პარალელიზმის ეპიზო-დებს გვთავაზობს (ტერციებისა და ოქტავების სახით). გარდა ამისა, აღსანიშნავია ინ-ტერესი იმ მომენტების ხაზგასმისა, როცა ჯგუფი მაქსიმალურ სულიერ და მუსიკალურ მისაწვდომობას აღწევს.

“Stabat Mater”-ის შესარულებისას მონტოროში შესაძლებელია გაუთვალისწინებელი ხმის დამატება. ეს ინიციატივა, შესაძლოა, ნაკარნახევი იყოს გარკვეული აკუსტიკუ-რი პირობებით, რომლებიც დაკავშირებულა შესარულების ადგილთან ან მომლერალთა ჯგუფთან. კარგად თუ დავაკვირდებით, ეს ის პირობებია, რომლებიც იყო კასტელსარ-დოს მომლერლების მიერ *quintina*-ს (კვინტა) ძიების დროს. მონტოროს შემთხვევაში ეს ერთი მომლერალია — ყველაზე მაღალხმიანი, რომელიც დროდადრო შორდება საკუ-თარ მელოდიურ ხაზს, რომ შეასრულოს “*controcanto*” (სიმღერის საწინააღმდეგო), მა-შინ, როცა კასტელსარდოში ეს, ფაქტობრივად, პარმონიების ერთობლიობაა დამატებითი ხმის შემსრულებლის გრძნობების გამოსახატად. ამის საპირისპიროდ, აღნიშნული ხმის გამომსახველობით სტილში, რომელიც სიმღერის ჯანსაღ ენერგიას შეესაბამება, არის ნათესაობა მონტოროს გუნდსა და კალიარის “*Massa*”-ს მორის (ცნების კვირის სხვაგ-ვარი მუსიკალური გამომსახველობა კუნძულ სარდინიაზე), რომელსაც, სხვათა შორის, არავინ მღერის ლათინურად.

სხვა იტალიურ ტრადიციებს თუ გადავხედავთ (განსაკუთრებით, ცენტრალური და ჩრდილოეთ იტალიისა, რაც, შესაძლოა, შემთხვევითი არ იყოს), საინტერესოა ლატერას (ვიტერბო)⁷ “*Miserere*”-სა და სესა აურუნკას⁸ და მონტოროს ვნების კვირის პოლიფონიის ზოგიერთი ელემენტის მსგავსება; რაც, კერძოდ, გამოიხატება: სამ ხმად დაყოფაში, სახელწოდებებით “*bassa*”, “*media*” და “*alta*”, რომელთაგან თითოეული ერთი მომღერ-ლის მიერ სრულდება, ასევე, “*Canticum Zachariae*”-ს არსებობაში, რომელიც კამპანიის რეგიონში კოლეგტიურად სრულდება საძმოსა და მლოცველების მიერ, სოლისტის მელო-დიისა და გუნდური კუპლეტების მონაცვლეობის სახით.

ამ სიმღერისათვის მინიჭებული დიდი მნიშვნელობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ის წარმოადგენს ბოლო ფსალმუნს *Officium Tenebrarum*-ისა, რომელიც ფართოდ აღნიშნება სესა აურუნკაში *saetta*-ს (მეხნის დაცვემა) ოხუთმეტი სანთლის ჩაქრობის ცერემონიით, მაშინ, როცა მონტოროში კონცენტრირდებიან, ძირითადად, ქრისტესადმი მიღვნილ პროცესიაზე.

ანდალუზიაში, მაშინვე, როგორც კი “*Padre Jesús*”-ის ქანდაკებას ტაძარში დააბრუ-ნებენ, გუნდი ასრულებს “*Cuius*”-ს, ბოლო სიმღერას, რომლის მნირული მიხრილობა გამოხვილების ატმოსფეროს ქმნის. რიტუალი მთავრდება კანტორების ურთიერთჩახუ-ტებით, ერთმანეთთან გამოხვილებით, რის შემდეგაც, მათი მისია, როგორც ფუტკრები-სა, დასრულებულია და შეუძლიათ, დაისვენონ.

⁷ პროვინცია სამხრეთ იტალიაში.

⁸ ქალაქი სამხრეთ იტალიაში.

⁹ „დაბალი“, „საშუალო“ და „მაღალი“.

აუდიომაგალითი

1. *Sentencia + Et erexit* (ნაწყვეტი) (მსჯავრი და ამაღლება), ასრულებს ჩვენი მამა იესო ნაზარეველისა და წმიდა მწუხარე მარიამის გუნდის Piadoso y Antiquísimo. ცოცხალი შესრულება. მონტორო, 29 აპრილი, 2019 წ.